



საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრი

საკპატიენტი

SAKPATENTI

NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY
CENTER OF GEORGIA

www.sakpatenti.org.ge

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სამოქალაქო-სამართლებრივი აღსრულება

ირაკლი კასრაძე

კაჭრეთი

5 აპრილი 2022 წელი



ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლებების დარღვევა იწვევს **სამოქალაქო,**
ადმინისტრაციულ და სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას



ასოცირების შეთანხმება

2017 წლის ცვლილებები



მატერიალური ნაწილი

- უფლების მფლობელი უფლებამოსილია მოითხოვოს:
- განსაკუთრებული უფლების დარღვევით ნიშანდებული საქონლის სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღება
- განსაკუთრებული უფლების დარღვევით ნიშანდებული საქონლის განადგურება,
- იმ გამოსახულების, ეტიკეტის, ანაბეჭდის, შეფუთვის, შესაფუთი ან სარეკლამო მასალის ან აბრის განადგურება, რომელიც სასაქონლო ნიშანს შეიცავს ან არის მისი ასლი ან იმიტაცია, მათ შორის, ინტერნეტში განთავსებული ისეთი მასალის ან გამოსახულების წაშლა, რომელიც სასაქონლო ნიშანს შეიცავს;
- სასაქონლო ნიშნის დასამზადებლად განკუთვნილი კლიშეს, მატრიცის, სხვა დანადგარის, ტექნიკური აღჭურვილობისა და იარაღის განადგურება.
- შესაძლებელია რამოდენიმე ქმედების ერთად განხორციელება

მატერიალური ნაწილი

ამასთან, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი უფლებამოსილია, მოითხოვოს **ერთ-ერთი** შემდეგი ქმედების განხორციელება:

- მიყენებული ზიანის ანაზღაურება (მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით), თუ განსაკუთრებული უფლების დამრღვევმა იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა განსაკუთრებული უფლების დარღვევის შესახებ;
- განსაკუთრებული უფლების დამრღვევისთვის განსაკუთრებული უფლების დარღვევით მიღებული შემოსავლის ჩამორთმევა განსაკუთრებული უფლების მფლობელის სასარგებლოდ;
- ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის გადახდა.



საპროცესო ნაწილი

- სამოქალაქო საროცესო კოდექსი
- კარი მეშვიდე5 - ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის საქმეზე სამართალწარმოების თავისებურებანი

მოიცავს ყველა ობიექტს ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების და მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების გარდა



მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებები

- ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე უფლებების სავარაუდო დამრღვევი საქონლის წარმოებისათვის/რეპროდუცირებისათვის ან ტექნოლოგიური საშუალებებისთვის გვერდის ავლისთვის განკუთვნილი დანადგარის/მასალის, მოწყობილობის ან მოწყობილობის კომპონენტის ან/და სავარაუდო კანონდარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის დეტალური აღწერა ნიმუშის ალებით ან უამისოდ. შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აგრეთვე ყადაღა.
- სასამართლო უფლებამოსილია რამდენიმე ღონისძიება ერთდროულად გამოიყენოს.
- სასამართლო უფლებამოსილია ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები გამოიყენოს სავარაუდო დამრღვევი პიროს მოსმენის გარეშე
- სასამართლომ სავარაუდო დამღვევს უნდა აცნობოს დაუყოვნებლივ, ღონისძიებათა გამოყენებიდან არაუგვიანეს 48 საათისა
- სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს 5 დღის ვადაში



ინფორმაციის მიღების უფლება

- განსაკუთრებული უფლების დარღვევით წარმოებული ან/და სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული საქონლის წარმოშობის ან/და გასაღების ქსელის შესახებ ინფორმაცია. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება შეიძლება მოიცავდეს აგრეთვე კანონდარღვევასთან დაკავშირებული ფინანსური დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებას
- მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება დაუშვებელია.
- ინფორმაციის მიწოდებისათვის გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს პირი, რომელმაც სასამართლოს მიმართა აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების თაობაზე შუამდგომლობით. მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ინფორმაციის მიწოდებისათვის მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება.
- მოთხოვნა უნდა იყოს **თანაზომიერი** და **დასაბუთებული**



სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები

- კომერციული მასშტაბით სავარაუდო დამრღვევის ქონებაზე ყადაღის დადება, რომლის მიმართ ამ მიზნით სასამართლო განსაკუთრებული უფლების მფლობელის შუამდგომლობის საფუძველზე, განსაკუთრებული უფლების შესაძლო დამრღვევისგან გამოითხოვს მის მფლობელობაში არსებულ საბანკო, ფინანსურ ან/და კომერციულ დოკუმენტებს/ინფორმაციას.
- სავარაუდო დამრღვევისთვის, იმ ქმედების განხორციელების აკრძალვა, რომლითაც ირღვევა განსაკუთრებული უფლება;
- სასამართლო უფლებამოსილია რამდენიმე ღონისძიება ერთდროულად გამოიყენოს.
- ღონისძიებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე იმ პირის მიმართ, რომლის მომსახურება გამოიყენება ან გამოიყენებოდა განსაკუთრებული უფლების კომერციული მასშტაბით დარღვევისათვის.
- თუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებით შეიძლება ზარალი მიადგეს სავარაუდო დამრღვევს სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი და, იმავედროულად, მოსთხოვოს განსაკუთრებული უფლების მფლობელს მოწინააღმდეგე მხარისთვის შესაძლო ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.
- სასამართლოს უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენის მოთხოვნა შეუძლია აგრეთვე მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე.



სამოქალაქო წესით უფლებების დაცვის პროცედურა არის ძვირი და გრძელვადიანი, რის გამოც უფლების მფლობელები უპირატეობას ანიჭებენ უფლებების დაცვის ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ მექანიზმებს



დადებითი მხარეები:

- საქმისწარმოების დაწყების შესაძლებლობა სხვა წარმოებისგან ადმინისტრაციული/სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან დამოუკიდებლად
- მეტნაკლებად ერთგვაროვანი სამოსამართლო პრაქტიკა, საქმის საბოლოო შედეგის პროგნოზირებადობა
- საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე უფლებადამრღვევის მიმართ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა

უარყოფითი მხარეები:

- ფინანსურად არაეფექტური
- დროში არაეფექტური
- ნიშნის მფლობელის მაქსიმალური ჩართვა პროცესში



დამატებითი მექანიზმი

ინტერნეტში საავტორო უფლებების ეფექტური აღსრულება



საავტორო უფლებების ინტერნეტ სივრცეში დაცვის სამართლებრივი საფუძველი:

- კანონის მე-18 მუხლი (საავტორო უფლების მფლობელის განსაკუთრებულ უფლება აკრძალავს ნაწარმოების რეპროდუცირება, საჯარო გადაცემა, საჯარო გაცნობა);
- **რეპროდუცირება** – ნაწარმოების, მომიჯნავე უფლების ობიექტის ან მონაცემთა ბაზის პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთლიანად ან მისი ნაწილის ერთი ან ერთზე მეტი ასლის დამზადება ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მათ შორის, ხმისა და ვიდეოჩანაწერის ფორმით. რეპროდუცირებად ასევე ჩაითვლება ჩაწერა დროებითი ან მუდმივი შენახვისათვის, ელექტრონული (ციფრული ჩათვლით), ოპტიკური ან მანქანით წაკითხვადი სხვა ფორმით;



- **საჯარო გადაცემა** – ნაწარმოების, გადაცემა ეთერში, კაბელით ან სხვა საშუალებით (გარდა ნაწარმოების ასლების გავრცელებისა) ისე, რომ გადაცემის გამოსახულება ან/და ხმა შესაძლებელია აღიქვან პირებმა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს, იმ ადგილზე (ადგილებზე), რომელიც იმდენადაა დამორებული გადაცემის ადგილიდან, რომ ასეთი გადაცემის გარეშე გამოსახულება ან/და ხმა არ შეიძლება აღქმულ იქნეს მიღების ადგილზე (ადგილებზე), მათ შორის, გადაიცეს ისე, რომ საავტორო ობიექტები ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პირისათვის მის მიერ არჩეულ დროს და ადგილიდან
- **საჯარო გაცნობა** – ნებისმიერი მოქმედება (გამოქვეყნების გარდა), რომლის შედეგადაც უშუალოდ ან ტექნიკური საშუალებით ნაწარმოები, შესრულება, ფონოგრამა, ვიდეოგრამა, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემა ან მონაცემთა ბაზა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდა



ინტერნეტში საავტორო უფლებების დარღვევის სქემები:

- სერვერზე დაფუძნებული (კონტენტ პროვაიდერი/პლატფორმ პროვაიდერი);
- P2P ქსელი;
- ბიტორენტი.



კანონმდებლობის მოდერნიზაცია

- „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონი



მიზანი

- სიცხადე შუალედური მომსახურების მიმწოდებლებთან (ინტერნეტ სერვის პროვაიდერებთან) დაკავშირებით;
- გამოირიცხება არაგონივრული პასუხისმგებლობა;
- შუალედური მომსახურების მიმწოდებლებს ეძლევათ სტიმული, რომ ითანამშრომლონ უფლების მფლობელებთან დარღვევის წინააღმდეგ საბრძოლველად;
- უფლებების მფლობელებს ეძლევათ საშუალება, რომ სწრაფად და ეფექტურად აღუდგინონ წინ საავტორო უფლებების ონლაინ დარღვევას.



შუალედური მომსახურების მიმწოდებელს არ ეკისრება
მონიტორინგის ჩატარების ვალდებულება



პასუხისმგებლობა

შუალედური მომსახურების მიმწოდებლის მიერ საავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დამრღვევი შინაარსის/შემცველობის მქონე, ინფორმაციის:

- გადაცემა (გატარება);
- დროებით შენახვა (ქეშირება);
- შენახვა (ჰოსტინგი).



არ წარმოიშობა პასუხისმგებლობა თუ:

- არ მიუღია შეტყობინება და/ან არ გააჩნდა შესაბამისი ინფორმაცია მომსახურების მიმწოდებლის უკანონო საქმიანობასთან დაკავშირებით;
- შეტყობინების მიღების შემდგომ მოახდენს შესაბამის რეაგირებას.



შეტყობინება და გათიშვა

- უფლების მფლობელის მიერ, შუალედური მომსახურების მიმწოდებლისთვის შეტყობინების გაგზავნა;
- შუალედური მომსახურების მიმწოდებლის მიერ უფლების დამრღვევ მასალაზე წვდომის შეზღუდვა 10 სამუშაო დღის ვადით;
- შუალედური მომსახურების მიმწოდებლის მიერ, სავარაუდო დამრღვევისთვის შეტყობინების გაგზავნა



კონტრშეტყობინება

- უფლების სავარაუდო დამრღვევის მიერ პასუხის წარმოდგენა;
- პასუხის ანალიზის საფუძველზე, მასალის აღდგენა ან წაშლა
- უფლების მფლობელისთვის სასამართლოსთვის მიმართვის მოთხოვნა



სასამართლოს გადაწყვეტილება!



პასუხისმგებელი საავტორო უფლებების დარღვევაზე:

- კონტენტ პროვაიდერი;
- შუალედური მომსახურების მიმწოდებელი (ინტერნეტ სერვის პროვაიდერი);
- დარღვევის ხელის შემწყობი პროგრამის და მოწყობილობის მწარმოებელი.



გმადლობთ!

